№ 11

სამშაბათი,
8 სექტემბერი
1909 წ.

# მოამავალი

№ 11

სამშაბათი,
8 სექტემბერი
1909 წ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## „მოამავალი“

გამოდის ყოველ-დღე, გარდა კვირა-უქმის მეორე დღეებისა

**გაზეთი ღირს:** როგორც თფილისში ისე თფილისს გარეთ ერთი წლით 7 მან., ნახევარი წლით 4 მანეთი. 1 **სექტემბრიდან წლის ბოლომდე** თფილისში 3 მან. თფილისს გარეთ 3 მან. 20 კ. **თვიურად:** თფილისში 80 კ., თფილისს გარეთ 90 კაპ. ცალკე ნომერი—5 კაპ. ადრესის გამოცვლა ღირს 40 კაპ. (შეიძლება მარკებითაც)

გაზეთის გამოწერა შეიძლება **მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან**

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე ღირს 15 კ.; უკანასკნელზე—10 კ.; სამგლოვიარო განცხადება თითო ჯერ სალამოს 5 ს-მდე 3 მან., ხუთი საათის შემდეგ—მეტი. ხელის მოწერად და დასაბეჭდ განცხადებები მიიღება რედაქციის კანტორაში ყოველდღე, დილის 9 ს. სალამოს 2 საათამდე და საღამოს 5—6 საათამდე. კვირა-უქმეებში დილის 11—12 საათამდე. რედაქცია ხელმოუწერელ წერილებს არ ბეჭდავს. **დაუბეჭდავ მცირე წერილებს არ ინახავს და მათ შესახებ არავითარ მიწერ-მოწერას და მოლაპარაკებას არ კისრულობს.**

**რედაქციის ადრესი:**
რუსის ქუჩა, სახლი № 3, ზემო სართულში.
**ფულის გასამოსაგზავნი ადრესი:**
Тифлисъ, тип. „Сорапанъ“, Калистрату Конст. Цуладзе.

## ქართული თეატრი

**შაბათს, 12 სექტემბერს** ქართული დრამატიული საზოგადოების არტისტებისაგან წარმოდგენილი იქნება:

# ღალატი

დრამა-ლეგენდა 5 მოქ. ალ. სუმბათაშვილისა, თარგ. გ. ყიფშიძისა.

ამ წარმოდგენაში დანიშნულია **ხუთი დებიუტი.**

ზეინაბი — — — ქ-ნი ჩირგაძე
ოთარბეგი — — — ბ-ნი ქავთარაძე
სოლეიმან-ხანი — — — ბ-ნი შარაშიძე
დათო — — — ბ. ბახტაძე
ყარა-იუსუფი — — — ბ. ფურცხვანიძე.

მოხსნიდგობას მიიღებს მთელი დასი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

**დასაწყისი საღამოს 8 ნახევარ საათზე.**

რეჟისორი ვ. აბაშიძე.

წიგნის მაღაზია და ჟურნალ-გაზეთების კანტორა

## „იმედი“

(წინანდელი „კოლხიდა“ ქუთაისში)

1 ენკენისთვიდან ხსნის განყოფილებას გემნაზიის ქ. ბულვარის პირდაპირ ალ. თუმანოვის სახლებში დაიწყებს ვაჭრობას ქართულ რუსული **სახელმძღვანელოებით, სამოსწავლო და საკანცელარიო ნივთებით, რვეულებით, ღია ბარათებით, ფოსტის და ღერბის მარკებით და სხვა.**

კანტორას მოიდის მუდამ დღე ყველა ადგილობრივი და სატახტო უფრო გავრცელებული **ჟურნალ-გაზეთები** და იღებს იმათზე **ხელის მოწერას.** ვისაც სურს ახალი გაზეთები დილითვე მიიღოს ბინაზე,—უნდა ჩაწეროს კანტორაში, აჩვენოს ადრესი და კანტორის მეგაზეთეები მიუტანენ მათ შეკვეთილ გაზეთებს.

მაღაზია ღებულობს: ქართულ-რუსულ **ახალ წიგნებს,** გამოჩენილ მწერლების და მოღვაწეების **სურათებს,** ნახატებიან **ღია ბარათებს** და სხვ.

კანტორა ღებულობს: ყოველ-გვარ **განცხადებებს** გაზეთებში დასასტამბათ **საკომისიოთ** წიგნებს და **წარმომადგენლობას** მთელი გუბერნიისათვის წიგნების გამომცემლების, და რედაქციების და ქაღალდის ფაბრიკებისაგან.

კანტორას შეკვეთილი აქვს საზღვარ-გარეთ რუსულ-ქართული **„რემინგტონი“** რა მიღებისთანავე დაიწყებს კერძო ფასიან სამუშევრების მიღებას. ფასები გადაწყდისა კანტორაში იქნება გამოცხადებული. 6—6

## მკერავი ქალი

ვიუვან მოსწავლეებს განურჩევლათ ხნოვანებისა. ვასწავლი ჭრასა და ხატვას სამი თვის განმავლობაში.

**ფასები ყველასათვის ხელმისაწდომია.**

**დუშეთის ქუჩა, № 7.**

## განცხადება

ოცს ამა ენკენისთვეს, დილის თეთმეტ საათზე დაბა **ჭიათურაში** ადგილობრივ თეატრის დარბაზში შესდგება **შავი ქვის მრეწველთა ასოციაციის წევრთა წლიური მორიგი საზოგადო კრება.**

კრებაზედ განხილული იქნება: 1) ბიუროს წლიური ანგარიშები; 2) კითხვა შეხებ ასოციაციის არსებობისა; 3) ჭიათურაში შავ ქვაზე ფასების დაარსება; 4) ასოციაციის მომავალი წლის ხარჯთ-აღრიცხვა; და 5) ბიუროს სამი წევრის არჩევა. 3—6—1

გამოვიდა ახალი გამოცემა **„კოლხიდა“**-სი

## „სახმო ღესით“

კითხვის სწავლება ანდრია შუბლაძისა, ფასი 10 კ. და **„ქართული მოძრავი ასოები“** ფ. 5 კ. ცალი. იყიდება ყველა ქართულ წიგნის მაღაზიებსა და გაზეთების აგენტებთან. (5—4)

ნაფიცი ვექილი

## სერგეი დ. ჯაფარიძე

**ქუთაისიდან გადავიდა თფილისში**

ბროსეს ქუჩა, ახვერდოვის სახლი № 11.
(სასტუმრო „ლონდონის“ ახლოს)

## ივ. კარჩუხოვი

გადავიდა ბელინსკის ქუჩ. № 18.

## ქალაქის სტიპენდია

განთავისუფლდა პეტერბურგის ქალთა საექიმო **ინსტიტუტში.** სტიპენდია დაენიშნება ქ. თფილისის მცხოვრებ ქალს, რომელსაც გაუთავებია პირველი ან მეორე თფილისის ქალთა გიმნაზია განურჩევლათ ეროვნებისა და სარწმუნოებისა.

თხოვნები საჭირო დოკუმენტებით მიიღება ქალაქის გამგეობის პირველ განყოფილებაში ამა წლის სექტემბრის გასვლამდე. 3—6.—3

ვასწავლებელი

## თ. კიკვაძე

**ამზადებს** ქალ-ვაჟთ **გემნაზიებისა, რეალური, საკომერციო, მიწის მზომელთა და იუნკერთა** სასწავლებლებისათვის, **კადეტთა კორპუსისა, სამხედრო სასწავლებლო ინსტიტუტისა, სამხედრო აკადემიისა, სამხედრო კურსებისათვის, სახალხო სკოლის მასწავლებლათ და აფთიაქის სავეგირდოთ.**

**მიიღება ანბანის უცოდინარი** პატარა ბავშვები, რომელთა **ჯგუფში ჩაწერა** უკვე დაწყებულია.

**მასწავლებლათ მოსამზადებელთა** პირველ ჯგუფში უკვე ეწერებიან და სწავლა დაიწყება, როცა 6 კაცი შესრულდება.

**სპეციალური მომზადება ქართული გიმნაზიისათვის.**

**ქირა** თითო თვის **წინდაწინ.**

**ადრესი: ვაგზალთან, გოგოლევის ქუჩა, სახლი № 62 ეზოში.** (18—12)

კბილის ექიმი

## ს. ვაშაყმაძე

აბასთუმანიდან დაბრუნდა. ავათმყოფებს ღებულობს **ახალ ბინაზე** დილით: 9—2 საათ. საღამოს: 5—7 საათ. ვერის დაღმართი, სახლი № 15.

კბილის ექიმი

## ი. შ. ჰანტურია

იღებს ავათ-მყოფებს დილით 7—9 ს, საღამოთი 4—8 ს.

კვირა-უქმე დღეს 9—1 საათამდე. ავჭალის № 71 (ციროჭნი ქუჩის ახლოს)

გამოვიდა და თფილისის საცენზურო კომიტეტში იყიდება: **სია ნება დართულ პიესებისა**

## ქართულ, სომხურ და თათრულ ენაზედ.

შედგენილი **ივ. პოლუმორდვინოვის** მიერ. ფასი ათი შაური. ფულის მაგიერ შეიძლება საფოსტო მარკები გამოიგზავნოს. 3—3

ქ. ქუთაისში

## თ. მთავრიშვილის

წიგნის მაღაზიაში დამზადებულია დიდძალი ქართული და რუსული სახელმძღვანელო, სამეცნიერო, სალიტერატურო, სახალხო და საყმაწვილო წიგნები, ქართული და რუსული მოძრავი ანბანი, რვეულები ქართული და რუსული წვრილათვის. აქვე იყიდება ოჯახსა და სკოლაში საკითხავი წიგნი

## „გუთანი“,

შედგენილი ქართულ გიმნაზიის მასწავლებლების მიერ. სასწავლებლებს, ბიბლიოთეკებს, საქველმოქმედო დაწესებულებებს და წიგნის მაღაზიებს დაეთმობათ ათ პროცენტათ.

(თვ. 0—23)

გამოვიდა

## დუტუ მეგრელის

ნაწერების ბირველი წიგნი

# ლექსები

წიგნი 262 გვერდია ჩვეულებრივ ფორმატისა.

ხელის მომწერნი მიიღებენ იმათგან, ვისთანაც ხელი მოაწერეს. ვინც პირდაპირ „დროების“ რედაქციას გამოუგზავნა ფული, წიგნი გაეგზავნება ფოსტით. ცალკე გასასყიდათ წიგნი ღირს 70 კაპეიკი (წიგნის მაღაზიებს დაეთმობათ 20%). ვინც წიგნს დაიბარებს „დროების“ რედაქციიდან, გასაგზავნი არ გადახდება; იმას კი, ვინც გამოიწერს არა ნაკლებ 10 ცალისა და ფულს წინდაწინვე გამოგზავნის, თითო წიგნი დაეთმობა

**სამაბაზათ**

მოკლე დროში გამოვა მეორე წიგნიც: **„მოთხრობები“.** (3—3)

ანტონ მაქსიმეს ძე და მართა გრიგორის ასული **მუჯირები** მადლობას სწირავენ ყველა მათ, ვინც ისინი ანუგეშეს პირადათ თუ წერილებით დაუვიწყარის შვილის

**ევისევის (კუკურიასი)**

დაკარგვის გამო. (1—1)

## ქართული სექცია

თფილისის სახალხო უნივერსიტეტისა ამით აცხადებს, რომ 15 სექტემბრიდან იწყება სწვლა აღნიშნულ სექციის სკოლებში გაფართოებული პროგრამით. მსურველთ შეუძლიათ ჩაეწერონ ყოველ დღე სალამოობით (გარდა კვირა დღისა) 6—8 საათამდე იმავე შკოლებში; 1, გოგოლის ქუჩა № 42, ვოგზლის ახლო 2) ვერაზე ოლგის ქუჩა № 32, 3) ავლაბარში, ავლაბრის ქუჩა ქალაბთაროვის სახლი.

სწავლის ფასი სამ თვეში ერთი მანეთი. 5—1

**С. и Ѳ. Грязновы готовятъ учениковъ въ среднія учебныя заведенія.**

Имѣются группы, готовящихся въ **4, 5 и 6** классъ гимназіи.

Адресъ: Вера, Измайловскій пер. № 6, въ верхнемъ этажѣ кв. 8. (10—6)

## ს. ჯავანში

თფილისის სამეურნეო ბანკი ყიდის ხის სახლს, რომელიც ეკუთვნოდა ბ-ნთ ჯაჯაიების სამეურნეო საზოგადოების და ბანკს ვალში დარჩა. ადრესი: Тифлисъ, Сельско-хозяйственный Банкъ. (2—1)

**თფილისი, 8 სექტემბერი.**

როგორც რუსეთის სატახტო ქალაქების გაზეთები გადმოგვცემენ, სახელმწიფო სათათბიროს მომავალ სესიაში, სხვა მრავალ კითხვებთან ერთათ გაირჩევა მუშათა დაზღვევის საკითხიც. თანამედროვე პირობებში მუშათა დაზღვევა ეს ისეთი დიდ-მნიშვნელოვანი სოციალური მოვლენაა, რომ მისი უარყოფა, მისი მხარის აქცევა არ ძალუძს არც ერთ პარლამენტარულ სახელმწიფოს, იქნება იქ კონსტიტუცია სრული თუ შეზღუდული უფლებიანი. თითოეულ ისტორიულ ეპოქას, თითოეულ ისტორიულ ხანას აქვს თავისი საჭირ-ბოროტო კითხვები, რომლის გარშემო ტრიალებს ხალხის და სახელმწიფოს აზროვნება, მათი პოლიტიკა და ცდილობენ მის ასე თუ ისე გადაჭრას. მეცხრამეტე საუკუნის სოციალურ-ეკონომიურმა ცხოვრებამ ბევრი ღირს-შესანიშნავი მოვლენა წარმოშობა, სულ მოკლე ხანში სახელმწიფოს, მეცნიერების და გამოგონების სფერებში დიდი ცვლილებები მოახდინა; სახელმწიფო ძალთა განვითარების ქარტეხილმა ერთიან დაამსხვრია ძველი დახავსებული ფორმები და ეკონომიურ ცხოვრებაში ინდივიდუალიზმი განახორციელა. ეკონომიურ პრინციპის თავისუფლებამ ყველა დაბრკოლებები დაანგრია და ინდუსტრიული განვითარება იმ სიმაღლემდის მიიყვანა, რომლის მსგავსი წარსულ საუკუნოებს არა უნახავს რა. წარმოების თავისუფლებამ, თავისუფალმა კონკურენციამ შეჰქმნა თანამედროვე სოციალური ურთიერთობა, სოციალურ კლასთა განწყობილება, კლასობრივი წინააღმდეგობა, რომელიც მთელი თავისი სიძლიერით გვიკარნახებს არსებულ ეკონომიურ პირობების უვარგისობას. ახლა უკვე აშკარა შეიქნა, რომ მე-19-ტე საუკუნის ეკონომიურმა აღორძინებამ დაბადა რიცხვ-მრავალი მწარმოებელი კლასი და დღიურ ქირაზე მოა მუშავე პროლეტარიატი, რომელსაც კისერზე აწევს ცხოვრების მთელი ჰირვარამი. რომ პოლიტიკურათ და ეკონომიურათ ეს კლასი უნუგეშო მდგომარეობაშია, მისი ცხოვრების პირობები აუტანელია და ყოველ მხრივ რადიკალურ გაუმჯობესობას მოითხოვს ამიტომაც ამ ბოლო დროს ყველგან და ყოველ ჟამს მუშათა კითხვაზე კამათობენ. მეცნიერება რეფორმებს მოითხოვს. მაგრამ ჩვენ ნგრევა-შენების ხანაში საზოგადოებრივ კლასებს არ შეუძლიანთ ხანგრძლივათ კითხვის თეორიულ სფერაში შეჩერება; იგი მთელი თავის სიძლიერით პოზიტიურ ნაბიჯის, დადებითი საქმის გაკეთებას მოითხოვს, რომელიც, ეგრეთ წოდებული, საფაბრიკო-სახელოსნო კანონმდებლობაში და მუშათა დაზღვევაში გამოიხატება. აშკარათ დაინახეს, რომ აუცილებლათ საჭიროა დიდი ყურადღება მიექცეს მუშათა ცხოვრების მდგომარეობას და მის ჯანმრთელობას; მიხვდნენ, რომ არც თვით მუშებს და არც დაშქრავებელ კაპიტალისტებს არ შეუძლიანთ პროლეტარიატის ჯანმრთელობაზე საჭირო ზრუნვა: პირველთ იმისთვის, რომ მას არა აქვს საჭირო საღსარი-საშუალება, მეორეს კი—პირდაპირ ნებას არ აძლევს საკუთარი ეკონომიური ინტერესები. ასეთ მდგომარეობამ ახლა ყველა იმ დასკვნამდის მიიყვანა, რომ ამ დიად კითხვაზე, ე. ი. მუშათა ჯანმრთელობაზე ზრუნვა მთავრობის ზნეობრივი და იურიდიული მოვალეობაა, მისი დანიშნულებაა. მართალია, მუშათა ისტორიაში იყო ისეთი დრო, როცა მისი ხელმძღვანელები უარყოფდენ მუშების სახელმწიფოს მიერ იძულებითი დაზღვევას განსაკუთრებით მაშინ, როცა მუშათა კლასობრივი მოძღვრებაზე ერთნაირი ზე-გავლენა ქონდა მანჩესტერულ შეხედულებას, მაგრამ მალე გარემოება შეიცვალა, სახელმწიფოს მიერ მუშათა იძულებითი დაზღვევა, ყველასათვის საჭირო და სასარგებლოთ შეიქნა; ყველა პროლეტარიატის გულ-შემატკივარი შეურყეველათ დარწმუნდა, რომ მუშების სახელმწიფოსაგან იძულებითი დაზღვევა ერთი იმ ძლიერ საშუალებათაგანია, რომელსაც შეუძლიან მუშათა მდგომარეობის საგრძნობელათ გაუმჯობესება. ამ პრინციპის მომხრეა სხვათა შორის გერმანიის სოციალდემოკრატიაც, დღიდან თვის დაბადებისა. ბრესლავის და მიუნხენის პარტეიტაგზე მათ დაადგინეს: მოითხოვონ ყველა დარგის დღიურ ქირაზე მომუშავენი და ხელზე მოსამსახურენი დაზღვეულ იქნან სახელმწიფოს მიერ. ჩვენ ვამბობთ, რომ მუშათა კლასის დაზღვევა სოციალური მოვლენაა, სოციალური ხასიათისაა, იგი ნაწილია სოციალ-პოლიტიკისა; ცხოვრებაში მისი მოწყობა მუშების სასარგებლოთ, მხოლოდ მოწყობილ საზოგადოებრივ სახელმწიფოს ძალით შეიძლება და არა კერძო პირების საშუალებით. მაშასადამე, აუცილებელია, რომ მუშათა დაზღვევა სახელმწიფოს მიერ უნდა ხდებოდეს.

მარა ეს დაზღვევა უნდა ეხებოდეს მუშათა ცხოვრების ყველა მხარეს.—იქნება ეს დაზღვევა ავათმყოფობისაგან, ინვალიდობისა, უმუშევრათ დარჩენილობისაგან, სიბერისაგან თუ სხვა, მაგრამ დღევანდელ პირობებში, მუშათა კლასს არ შეუძლია თავის თავის მრავალმხრივ დაზღვევა, ვინაიდან მისი ხელფასი, ქონებრივი შემოსავალი, ისე მცირე და უმნიშვნელოა, რომ ვერ აიტანს ამოდენ დასაზღვევ გადასახადს... და თუ სახელმწიფო ყველა ასეთ დასაზღვევ გადასახადებს მუშებიდან მოითხოვს, მაშინ სახელმწიფომ მუშათა ხელფასის პირობები იმ ზომამდე უნდა გააუმჯობესოს, რომ მათ **საშუალება ქონდეთ** მრავალი დასაზღვევი გადასახადები ადვილათ და შეუწუხებლათ გადაიხადონ; ანდა ეს გადასახადები თითონ სახელმწიფომ იკისროს, თავის კასიდან გაისტუმროს. ერთი სიტყვით, რაციონალური და მიზნის შესაფერია, უკეთუ თითონ სახელმწიფო იკისრებდა მწარმოებელ კლასის დაზღვევას. როგორც ვთქვით, ეს არის ერთად ერთი გზა, რომლის საშუალებითაც მას შეუძლია მუშათა მდგომარეობის ასე თუ ისე გაუმჯობესება. ამისათვის რუსეთის მუშათა წარმომადგენლებმა დუმის მომავალ სესიაში მთელი თავისი ძალღონით

უნდა მოითხოვონ მუშების სახელმწიფოს მიერ დაზღვევა, რადგან მხოლოდ სახელმწიფოს შეუძლია თავისი ნივთიერი და კანონმდებლობის საშუალებით რაციონალურათ მოაწყოს მუშათა დაზღვევის საქმე და მით რამდენიმეთ მაინც გააუმჯობესოს მათი მდგომარეობა.

## ვისი ბრალია?

(გაგრძელება *)

პირველ სესიაში ჩვენ შემთხვევა გვქონდა შევხებოდით სწავლა-განათლების საქმესაც კავკასიაში. ეს იყო განათლების სამინისტროს სმეტაზე მსჯელობის დროს. ჩვენ აქ მივაქციეთ დუმის ყურადღება განსაკუთრებით ჩვენი შკოლების უდიდეს და უსაშინელეს ბოროტებაზე—რუსიფიკაციაზე, გარუსების პოლიტიკაზე და ამ პოლიტიკის უმთავრეს საშუალებაზე—შკოლებიდან დედა-ენის განდევნაზე. აქვე აღვნიშნეთ ისიც, რომ კავკასიის მკვიდრნი—დიდიან პატარამდის სრულიადაც არ გაურბიან რუსულათაც სწავლას, პირიქით, გულით მონდომილნი არიან ეს ენა საფუძვლიანათ შეისწავლონ, მაგრამ სწავლების მახინჯი მეთოდი რუსული ენის შესწავლასაც ფრიად აბრკოლებს. ამ რიგათ, მთავრობა აქაც წინ ეღობება სახელმწიფო საქმეს,—რუსული ენის შესწავლას.

საქმე რომ რიგიანათ მოეწყოს უპირველესათ ყოველისა საჭიროა სათანადო ადგილი დაეთმოს დედა-ენას. რაც შეეხება საყოველთაო, საერთო პირობებს, რომელნიც სულს ხდიან სწავლის საქმეს, მათი მოსპობა ხომ ყოველ შემთხვევაში აუცილებელია.

აი მოკლეთ ჩვენი აზრი კავკასიის სწავლა-განათლების შესახებ. ვგონებთ, აქაც არ გვითქვამს რა ისეთი, რომ „დროებას“ ან მის წინამორბედს შეშინებოდა და გამონაწვდენი ცნობა-მასალები საჭიროთ უკან წაეღო, ვინძლო ბ. ჩხეიძემ უკანვე თავში არ გვახალოსო.

ცხადია ეს თავისთავათ, მაგრამ აბა მოიგონეთ, რა ხითხითი აუტყდა და როგორი ბუქნა დაუარა ჩვენი სიტყვის გაგონებაზე „ამირანმა“! აი რაში გამოიხატა იმ ხანათ „დროების“ თანამოაზრეების დახმარება, ცნობა-მასალების მოწვდენა.

ახლა ვიფიქროთ ერთ წუთს, რომ მაშინ ეს ასეც უნდა ყოფილიყო, მაგრამ ჩვენ ხალთა გვაქვს მას შემდეგ მომხდარი ამბები. ამ ამბების გამგონე „დროებას“ ყოველ შემთხვევაში უნდა შეეცვალა თვისი მცნება ჩვენ შესახებ ცნობა—მასალებს მოწვდენის საქმეში, მაგრამ, სამწუხაროთ, ჩვენ ეს ცვლილება ვერ დავინახეთ,

კავკასიაზე შეკითხვის დროს ჩვენ ხელმეორეთ შევეხეთ ჩვენებურ შკოლების საქმეს და შეძლების დაგვარათ განვმარტეთ ჩვენი შეხედულება ამ საგანზე. ადგილობრივი ენები ძაღლების ენებათაა მიჩნეული ადგილობრივ შკოლებში—აი როგორ დავახასიათეთ ჩვენ სწავლის საქმე კავკასიის შკოლებში და ამის ფაქტიც მოვიყვანეთ. მოვიყვანეთ ფაქტები იმის შესახებაც, რომ მთავრობა სტყუის, როცა გიჟახის შკოლაში პოლიტიკას არ ვაწარმოებთო. ცოცხალი მაგალითები: ლევიცკი და მისი მეთოდი, აშორდია და სხვა და სხვა!

მოგვადგა კარზე მეორეჯერ განათლების სამინისტროს სმეტა. ერთი კარგი ახალი ცნობა, ერთი საყურადღებო ფაქტი რათ ღირდა ამ დროისთვის. ხანდისხან, წარმოიდგინეთ, ისიც კი ვიფიქრეთ, რომ ზოგიერთი ჩვენებური მასწავლებლისთვის მიგვემართნა და გვეთხოვა ცნობები, მაგრამ ფიქრი ფიქრათ დარჩა. „დროება“ ამ დროსაც სდუმდა. მეტი ილაჯი არ იყო, ჩვენი ძალ-ღონით უნდა გაგვესწორებია ანგარიში საკითხისთვის. რა ითქვა ამ შემთხვევაში დუმის ტრიბუნიდან, თუ სხვა ენაზე არა, ქართულათ მაინც დაწვრილებით იყო მოყვანილი ჩვენ გაზეთში.

„დროება“, რა თქმა უნდა, თვალს გადაავლებდა ამას და, ალბათ, დაინახავდა, რომ, თუ ის ცნობებს და მასალას მოგვაწვდიდა, მისი მხრით ფუჭი შრომა არ იქნებოდა, მაგრამ ვერც ამან გასჭრა.

გავიდა კიდევ რამდენიმე ხანი და ისევ ის საკითხი თვისი სივრცე-სიგანით და მნიშვნელობით წინ დაგვიდგა. ეს გახლდათ კავკასიის სმეტის განხილვის დროს.

გადაშალეთ ეს სმეტა და დააკვირდით მის მეხუთე პარაგრაფს, თქვენ იქ ამოიკითხავთ:

| | |
|---|---|
| 1. საფერშლო შკოლის შენახვა ქალაქ თფილისში | 23,450 მ. |
| 2. დახმარება საქართველოს საეკლესიარხოსოს სამრევლო შკოლების შესანახათ . . . | 259,326 მ. |
| 3. დახმარება განათლების სამინისტროს შკოლებისათვის | 259,326 მ. |
| 4. სამიწათ-მოქმედო და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს შკოლებისათვის . . | 1814 მ. |
| 5. დახმარება სასწავლებლებს, რომლებიც ინახება კერძო პირების და საზოგადოებათა ხარჯზე . . . . . | 22,600 მ. |

ამ კითხვების შემხედვარეს შემთხვევა გეძლევა სავსებით გადაშალო მსმენელის წინაშე იმის სურათი, თუ რა ყოფაშია დღეს ჩვენში მეურნეობა, საზოგადო განათლება, საქველ-მოქმედო დაწესებულებები და სხვადასხვა.

რა მოგვაწვდინა „დროებამ“? ქვეყანაზე არაფერი. რატომ? ალბათ ცხვირპირს უფრთხილდებოდა. რა ითქვა საფინანსო კომისიაში ამ საკითხების შესახებ? აი მოისმინეთ:

კავკასიის ოლქის მზრუნველი აღნიშნავს, რომ პროფესიონალური განათლება კავკასიაში, როგორიც უნდა იყოს ის, სრულიად ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილებას.

კავკასიაში არ არსებობს არც ერთი უმაღლესი სასწავლებელი არც სპეციალური და არც საზოგადო განათლების.

აქაური კულტურის პირობები სხვენათ მრავალგვარია და ისე განსხვავებულია სხვებისაგან, რომ აგრონომი, რომელსაც სწავლა მიღებია საშუალო და თუნდ სამხრეთ რუსეთში, ვერ გამოიყენებს თავის ცოდნას კავკასიაში.

ოლქში ყოველწლივ გამნაზიებს და რეალურ სასწავლებლებს ათავებს 1050 ახალგაზდა.

ამათ შორის სწავლას აგრძობს 50 პროც. (ნახევარი), რაც შეადგენს 525 კაცს.

სიმცირე იმ ახალგაზდათა რიცხვის, რომლებიც განაგრძობენ უმაღლეს საზოგადო თუ სპეციალურ განათლებას, მით აიხსნება, რომ კავკასიელებისათვის მეტათ გასაჭირია უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის საქმის მოწყობა. საყურადღებოა აგრეთვე შემდეგი გარემოებაც: კავკასიელ მოსწავლეთა შორის ბევრი ავათმყოფდება რუსეთში, რადგან მათთვის აუტანელია არა თუ ჩრდილოეთის, არამედ საშუალ და სამხრეთ რუსეთის ჰავაც კი.

საშუალო განათლების მდგომარეობაზე ოლქის მზრუნველი ლაპარაკობს: ინჟენერთა თანაშემწეების მოსამზადებლათ ქ. ბაქოში არის ერთი საშუალო სასწავლებელი. მრეწველობის ყველა დანარჩენი დარგები სრულიად უყურადღებოთაა დატოვებული. წარმოება სამთო-საქარხნო და სამეურნეო სრულიად მოკლებულია საშუალო ტეხნიკურ განვითარების მჭონე პირთ.

წელიწად'ში სამოქალაქო სასწავლებელს ათავებს ათას-ხუთასი მოსწავლე. ამ რიცხვებზე მოდის მთელ ოლქში სულ ოთხი სპეციალური სასწავლებელი, ორი განათლების და ორიც ვაჭრობის და მრეწველობის სამინისტროსი.

9,750 მოსწავლეთათვის, რომელნიც ყოველ წელს ასრულებენ მარტო განათლების სამინისტროს სასწავლებლებს (училище) (გარდა სასულიერო და სხვა უწყებათა შკოლებისა) არსებობს მხოლოდ 30 სპეციალური სამოსწავლო დაწესებულება. მიუმატეთ ამას 70 სამოქალაქო სასწავლებლები და სულ გვექნება ასი სამასწავლებლო დაწესებულება.

თუ იანგარიშებთ რომ თითოეულ სასწავლებელში მიღებულთა რიცხვი ყოველ წლივ ოცდახუთმეტამდეა, ასეთ ბედნიერთა რიცხვი მიაღწევს სამი ათას ხუთასამდე; ეს შეადგენს 36 პროც. (ას კაცზე ოცდათექვსმეტს), დანარჩენი ექვსი ათას ორას ორმოცდა ათი კაცი მიცვივიან ცხოვრების მორევში პრაქტიკულ ცოდნას მოკლებულნი, ასეთები მალე ივიწყებენ წერა-კითხვას და ადგენენ ქუჩის ნაძირალებთა რაზმს, ხდებიან რა თანამედროვე ცხოვრების აუტანელ ბოროტებათ.

3,250 მოსწავლე ქალთაგან, რომელნიც პირველდაწყებითი სწავლის კურსს ასრულებენ, მხოლოდ 665 ეძლევა საშუალება შესაფერ შკოლებში შევიდენ; ეს რიცხვი შეადგენს სულ 20,5 პროც. (მეხუთედს), დანარჩენმა 2,585 კი არ იცის სად წავიდეს.

ამრიგათ, 6250 მოსწავლე ვაჟის და 2585 ქალისთვის—სულ 8,835 მოზრდილთათვის კავკასიაში არ არსებობს ისეთი დაწესებულება, სადაც ამ ახალგაზდობას შეეძლოს პრაქტიკულათ მომზადება. აღნიშნული რიცხვი (8,835) შეიცავს 73,63 პროც. (თითქმის სამ მეოთხედს) მთელ იმ ახალგაზდებისას, რომელნიც სწავლობენ პირველდაწყებითი შკოლებში.

აუცილებლათ საჭიროა გაიხსნას სულ ცოტა, 84 სასწავლებელი, რომ ამოდენა პროფესიონალურ შკოლის გარეშე დარჩენილთა მოსწავლეებს ერთმა მესამედმა მაინც განაგრძოს განათლება. ამ საქმეს ხარჯი დასჭირდება: პირველივე ექვსწლოვანი 50,400 მ, მუდმივი ხაზინიდან 126,000 მ.; ერთდროული ხაზინიდან 294,000 მ., ადგილობრივი 126,000 მ.

აი რას ამბობს კავკასიის სამოსწ. ოლქის მზრუნველი.

ქ. ჩხეიძე.

(შემდეგი იქნება.

# დეპეშები

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

7 სექტემბერი.

### რუსეთი

**ტაშკენტი.** სამხედრო სამართალში მისცეს მაისურაძე, რომელმაც სახამართლოს სხდომის დროს მძიმეთ დასჭრა გოროდოვოი და სამი დარაჯი. გოროდოვოი გარდაიცვალა.

**პეტერბურგი.** ფინლიანდიის რუსეთთან შემოერთების ასი წლის იუბილეის გამო სატახტო გაზეთებში ვრცელი წერილები დაიბეჭდა. გუშინ ფრიდრიხსგენში იმპერატორ ალექსანდრე I სულის მოსახსენებლათ გადახდილ იქნა პანაშვიდი.

**ჩერნიგოვი.** საოლქო სასამართლოში დაიწყო 10 ლეიბ გვაბედის პეტერბურგის პოლკის, უფროს პორუჩიკ ივანოვის საქმე. მას ადრალებენ 1908 წელს დედის მოკვლას. იცავს ნაფიცი ვექილი კარაბჩევსკი.

**პეტერბურგი.** შინაგან საქმეთა სამინისტროს განკარგულებით შტაბ-აფიცრებმა უეცრათ დაიწყეს პეტერბურგის სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულების და ტრაქტირების რევიზია.

**სამარა.** სახელმწიფო საბჭოს წევრის ამომრჩევლებათ თავად-აზნაურობამ აირჩია სამარინი და კარამზინი.

**კისლოვოდსკი.** კრეისერ „ჩასოვოი“-ს კაპიტანმა ოკუნევმა 5 სექტემბერს თავი ჩამოიხრჩო.

**იაკუტსკი.** მილიუისკის მაზრაში ოთხმა ბოროტ-მოქმედმა, რომლებმაც თავიანთ თავს თერგის ოლქის ოსები უწოდეს, გაძარცვა ორი იაკუტელი. ერთი მათგანი დასჭრეს. დაჭერის დროს მათ სროლა აუტეხეს კაზაკებს. სროლის

---

*) იხ. „მოამავალი“ № 9.

# უსათაურო

(დასასრული)

სადა ხარ ახლა შენ, ხვარამზე!? რას ფიქრობ?

მ—ოვში მე მისი წერილი მივიღე. სამჯერ ზედი-ზედ გადავიკითხე ის, მივხდი რაც ეწერა შიგ, მაგრამ თითქოს არაფერი გამეგოს. მეორე დილას გადავიკითხე ის და საბოლოოთ დავარწმუნე ჩემი თავი, რომ მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო.

იმაში ეწერა:

იმაში ეწერა, რომ... მაგრამ აი მისი წერილი, მე ის ზეპირათ მახსოვს, ჩემი ხვარამზეს წერილი. ზეპირათ მახსოვს ის, როგორც ყველა მისი წერილები. აი ის წერილი:

„ვანო! თუ ამ წერილს გწერ, ეს იმიტომ, რომ მე სუსტი ადამიანი ვარ. მე პირადათ უნდა მეთქვა შენთვის ყველაფერი ეს. უნდა მეთქვა, მაგრამ ვერ შევიძელი. დიდი ბრძოლა დამჭირდა თავის თავთან სანამ ამ დასკვნამდე მივიდოდი. იცოდე ვანო ერთი რამ, მხოლოდ თუ ამ წერილით გაწყენიებ, არა ნაკლებ ვაწყენინებ ჩემ თავს... ამაში დარწმუნდი ჩემო ვანო, იმიტომ, რომ მე შენ მიყვარხარ და მეყვარები. ამასთან იცოდე ისიც რომ ამ სიყვარულს, ჩემს სიყვარულს შენდამი, მე ვერ ვამართლებ ზნეობრივათ, ცის არ არის ის, მიწერია, და თუ ვერ ვსპობ მას ჩემ გულში, ეს იმიტომ რომ

**Рожденный ползать не может летать...**

ჩვენ უნდა დავშორდეთ ერთმანეთს ჩემო ვანო. ეს მე ვიგრძენი იმ დღეს, როცა შენ, გახსოვს, მოედანზე დამეკიდე მკლავში და სახლში წამიყვანე. ეს მე იმ დღეს ვიგრძენი, მაგრამ იმდენათ შემეშინა ამ გრძნობის, რომ კინაღამ ჭკუაზე შევცდი. დღევანდელ დღემდი ვებრძოდი მე ამ გრძნობას და დღეს მძლია მან. ჩვენ უნდა გავშორდეთ ერთმანეთს. რათ, რათ გათენდა ის დღე ჩვენ სიცოცხლეში! შენ რომელიმე მუშას, რომლებიც რევოლვერით ხელში იდგენ შენს გარშემო, რათ ამოიღე შენ თვითონ რევოლვერი? და რათ მე არ შემიძლია მოვკვდე იქ, სადაც შენ მზათ ხარ მოკვდე? რათა ვანო? მას შემდეგ ვფიქრობ, ვფიქრობ და მაპატიე, ვანო, აი რა დასკვნამდე მივედი: შენ არაფრით არ გაირჩევი იმ აფიცრიდან, რომელმაც არ მესროლა რევოლვერი და არ მომკლა. მან არ მომკლა იმიტომ, რომ მე ლამაზი ვეჩვენე მას. მან არ მომკლა იმიტომ, რომ მოვეწონე, როგორც დედაკაცი. და შენც ვანო დაეტაკე გადასარჩენათ შენს ცოლს და მეტს არაფის. დიახ, შენ, შენი ცოლი გინდოდა გადაგერჩინა. შენ აქებ ხოლმე გმირებს ბრძოლის ველზე დახოცილებს და მე კი არ მანებებ სიკვდილს! რათა ვანო? იმათ რომ მე შენი ცოლი ვარ? ჩვენ ზომაზე მეტათ გვიყვარდა ერთმანეთი, თუ აგრე გაგრძელდა ჩვენ წუმპეში დავიფლებით. ეს კი მე არ მსურს, არ მსურს. სადაც არ არის თანასწორობა, იქ არ უნდა იყოს სიყვარულიც!..

როგორც ხედავ, დიდი ხანია მინდოდა მეთქვა ეს, მაგრამ ვერ გითხარი. მე ქართველი ქალი ვარ, უტრადიციო მონა და გაუბედავი. მაგრამ ქართველი ქალი არის **Нѣчто, что должно преодолѣть“** ნიცშეს სიტყვებით რომ ვთქვა. ალაზანი, რომლის ხსენება ხშირათ გიყვარდა შენ, ნელი მდინარეა, მაგრამ შეჩერება მისი შეუძლებელია. ნელა წავალთ შეიძლება ჩვენც, ქართველი ქალები, მაგრამ დაბოლოს ვძლევეთ თავის თავს და ფრთა გაშლილნი ავფრინდებით მაღლა. ვანო, ჩვენ უნდა გავშორდეთ ერთმანეთს. გიყვარვარ ვიცი და გაფიცებ ამ სიყვარულს, დამანებე თავი, ნუ მომწახავ, ნუ დამიწყებ დევნას. ნუ, იმიტომ რომ მე მიყვარხარ შენ, ჩემო ვანო... ხვარამზე“.

**Ты, хорошо роешь, кротъ!** ურა ხვარამზე, ჩემო ძვირფასო! და ძირს ვანო ღულუნაშვილი, ცნობილი აგიტატორი და პროპაგანდისტი! მე კი იმიტომ არ მტოვებს ძვირფასი ადამიანი, რომ არ ვუყვარვარ, რაიც ყოველთვის შესაძლებელია და მოსალოდნელი. არა, მე ის მტოვებს იმიტომ, რომ ზნეობრივათ ჩემზე მაღლა თვლის თავს, სინდისით ძლიერია. ურა ხვარამზე, ჩემო ძვირფასო ხვარამზე!..

**Ты, хорошо роешь, кротъ!** გაუმარჯოს მძლავრებს, გზა მათ!

...დაღლილ-დაქანცული შევედი თ—ში. საით წავიდე? ვის ვეხტუმრო? მოდი, ნინასან წავალ, ის ჩემი კარგი ამხანაგია, გამოვიკითხავ ამბებს და შეიძლება იქ ვისმეს გადავეყარო, რომელიც ბინას მიჩვენებს.

— რა ამბავია? რომელ ქარს დავუმადლო შენი სტუმრობა? მეუბნება ნინა და მის თვალებში გულწრფელი სიხარული სჩანს.

— აი რამდენი წიგნები მივიღე, შეხედე... გამძარცვეს, რაც მებადა ყველა ამ წიგნებში მივეცი, მაგრამ მთელი ზამთარი მეყოფა საკითხავათ.

მე ვათვალიერებ სქელ კანიან, ლამაზსა და ლამაზათ დაბეჭდილ წიგნებს.

— რათ არ იტყვი როგორ ხარ? ლიზა... ხვარამზე... როგორ არის?..

— იცი ნინა, მე და ხვარამზე ეხლა ერთად აღარ ვცხოვრობთ! ვეუბნები მე ნინას და ვიცინი, მაგრამ ვაი ასეთ სიცილს—ის, ალბათ, ტირილზე უარესია. ნინა ფითრდება, მის ტკვიან და ლამაზ თვალებში იხატება კითხვითი ნიშანი და გაფითრება.

— როგორ... რას ხუმრობ?

— სრულიადაც არ ვხუმრობ... მე მას აღარ ვუყვარვარ... ხე, ხე!.. რა არის ქვეყანაზე უკვდავი, რომ სიყვარული არ მოკვდეს .. მე ისევ ვიცინი.

ნინა თითქოს ათამაშებს ხელში ცხვირსახოცს, შეუმჩნევლათ მიაქვს ის თვალებთან და თვალებს იწმენდს...

ყველამ იცის, რომ მე ნინას დიდი ხანია ვუყვარვარ...

და უცებ მე მეზიზღება ჩემი თავი. რათ მოვედი აქ? და თუ მოვედი, რათ უთხარი მას ყველაფერი ეს? რა უფლება მქონდა? მე ხომ ხვარამზე მიყვარს და არაოდეს, არაოდეს სხვა არ შემიყვარდება!.. განა მეც იგივე არ ვარ ნინასთვის, რაიც ჩემთვის არის ხვარამზე? როგორი იქნება, უცებ ხვარამზემ რომ გააღოს ჩემი ბინის კარი და შემჩივლოს—ამა და ამას არ ვუყვარვარო!..

საჩქაროთ წამოვდექი...

— დაიცა! სად მიჩქარი... დაიცა!.. მაგრამ მე საჩქაროთ გავდივარ კარში და ქუჩაში ვიკარგები.

**Ты, хорошо роешь, кротъ!** გაუმარჯოს ხვარამზეს, მაგრამ... მაგრამ ნება მიბოძეთ გამოვაცხადო შემდეგი: ეხლაც რომ დავინახო ხვარამზე ისეთ მდგომარეობაში მე მას არ დავანებებ სიკვდილს თუ ეს შემეძლება... მე ის მიყვარს, მიყვარს და ვერ ავიტან იმის სიკვდილს!..

... მე ქალაქ გარეთ, ორთ—ლაში დამატყვევეს. იქ ერთი სამკიტნოა. ამ სამკიტნოს წინ, „ვივესკაზე“, ერთ მხარეზე დახატულია ახირებული ეტლი, ახირებული მეეტლითა და პასსაჟირით. ეტლის უკან დგას ვიღაც ქალის მაგვარი არსება და ხელს უწვდის ეტლში მდგომ პასსაჟირს, ქვეშ კი აწერია: **Не уежай мои голупчикъ.** მეორე მხარეზე კი, ვიღაც ჩოხოსანი, ყარამანისებური ფეხსაცმელით, წითელი ჩოხით, წითელი ქუდით და წითელი წვერ-ულვაშით. დგას ის თავდალუნილი, ქვეშ კი აწერია: „**Сударь сядь посидѣй, сядь посидѣй!**“.. შესავალ კარებთან კი მიწაზე დიდი წითელი ასოებით იტყობინებიან, რომ ეს არის „საწყალი კაცის აფთიაქი“.

აი ამ „საწყალი კაცის აფთიაქში“ შევედი მე, მოვითხოვე ღვინო და თქვენი სადღეგრძელო გეახელი. დავლიე აგრეთვე ხვარამზეს სადღეგრძელო და ყველა მართლმადიდებელი ქრისტიანების... ხოლო, როცა კარში გამოვედი, პოლიციელმა ეტლში ჩამიყვინა და „უჩასტოკში“ წამიყვანა,

ძალიან იამა ჩემი ნახვა „ამხანაგ როტმისტრს“. დიდი ხანია გეძებდიო, მითხრა მან და, რა თქმა უნდა, ეხლა დიდხანს არ მოგეშვებიო.

და ვზივარ მე მეტეხის სასტუმროში. დღე და ღამე ვფიქრობ მგონია რაღაცას, ნამდვილათ კი, თავიდან ბოლომდე ვიმეორებ ჩემი სიყვარულის ისტორიას...

ამბობენ, როცა დავდივარ კამერაში, რაღაცას ჩემთვის ვლაპარაკობო. მაგრათ მახველებს, ხოლო წამალს, რომელსაც ექიმი მაძლევს, „პარაშაში“ ვგზავნი.

თუ ჩემ ნახველს ვინმე დააკვირდება, სისხლის წვეთებს შეამჩნევს იქ. ჩვენი ექიმი ამას ქრონიკულ ბრონხიტს ეძახის.

— გაივლის, ეს არაფერია! მანუგეშებს ის.

მეც ვიცი რომ გაივლის... რა თქმა უნდა გაივლის!

ამხანაგებს არ ვავიწყდები. მიგზავნიან ფულს... ერთხელ გაღმომცეს რაღაცა, რომელიც მე ვიცი საიდან არის... მე ვიცი ეს, მაგრამ არ ვეუბნები არა თუ სხვებს, არამედ თავის თავსაც... იმას კი ვინახავ... ის უნდა ჩამყვეს მიწაში...

. . . . . .

...ყველას სძინავს ეხლა, როცა ამ უკანასკნელ სტრიქონებს ვწერ, ყველას სძინავს. მეც მინდა დავიძინო, მაგრამ არც ასე ადვილია დაძინება. რაღაცა მუშაობს გულში, მკბენს, მჩქმეტს და არ მასვენებს...

**Ты, хорошо роешь, кротъ!..** მაგრამ როდის გაათავებ ამ კომედიას... ღმერთმანი დავიღალე!.. „ჰე ოსტატო, დროა მორჩე კეთებას, მომასვენო!“...

ხ. ცირიშვილი.

დროს ორი თავდამსხმელთაგანი მოკლეს და ორი დასჭრეს.

**კოვნა.** სახელმწიფო საბჭოს წევრის ასარჩევათ სამღვდელოებამ აირჩია დეკანოზი ვოლჩოკაევიჩი.

**კურსკი.** სოფელ ანტიკაში, პუტავლსკის მაზრაში მოკლეს მღვდელი და ეკლესიის დარაჯი. ეკლესია გაძარცვეს.

**მიშკინი.** სატუსაღოში სახადი გაჩნდა. მოკვდა სატუსაღოს უფროსი, ზედამხედველი და ტუსაღი.

**ვორონეჟი.** სახელმწიფოს საბჭოს წევრის ამომრჩევლათ თავად-აზნაურობამ აირჩია გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი ალეხინი და ყოფილი წინამძღოლი ალეხინი და ყოფილი წინამძღოლი შიდლოვსკი.

**ვიტებსკი.** პეტერბურგის სამოსამართლო პალატის სესიამ უბნის ზედამხედველ რაკოვსკის ოთხი თვით და სამ გოროდოვოის სამსამი თვით დატუსაღება მიუსაჯა ტუსაღის ცემისათვის.

**სევასტოპოლი.** ხელმწიფე-იმპერატორმა კეთილ ინება და 10,000 მანათი გადასცა სევასტოპოლის ღარიბ მკვიდრებთა დასახმარებლათ.

**ბაქო.** ყუმბარების აღმოჩენის საქმის გამო „მაძებარი პოლიციის“ უფროსი დურიევი სამსახურიდან დაითხოვეს 1100 სტ. ძალით. მას 126 და 380 სტატიის ძალით სამართალში აძლევენ. დაითხოვეს აგრეთვე ორი აგენტი.

**სარატოვი.** სარატოვის მაზრის სოფელ სოლომში დაიწვა 56 სახლკარი.

**ტვერი.** დაიწვა სოფელი რიადი 97 სახლკარით.

**ჩერნიგოვი.** ნოვგოროდ-სევერსკის მაზრის სოფელ ვოვნაში დაიწვა 56 სახლკარი მთელი ოჯახობით. დაბა პოგორელკაში დაიწვა 14 სახლკარი. დაიღუპა 9 წლის გოგო. სოფელ ივანოვკა-გალინუშკაში დაიწვა 17 სახლ-კარი.

**გროდნო.** სახელმწიფო საბჭოს წევრის კანდიდატათ აირჩიეს დეკანოზი კორჩინსკი.

**პოლტავა.** ღამით დაიწვა რადუნსკის თამბაქოს ქარხანა.

**სარატოვი.** კამიშინსკის მაზრის სოფელ ზოლოტოში, დაიწვა პონომარევის სახერხი ქარხანა. დაიღუპა ერთი მუშა.

**ეკატერინოსლავი.** ბახმუტის პოლიციამ დაიჭირა სადგურ ლოსკუტოვოზე მემამულე კამენსკის ოთხი მკვლელი.

**პეტერბურგი.** უმაღლეს რესკრიპტში, ფინლიანდიის გენერალ-გუბერნატორისადმი, ფინლიანდიის შემოერთების ასი წლის თავის გამო აღნიშნულია, რომ შემოერთების შემდეგ ფინლიანდიას მიენიჭა ფართო დამოუკიდებლობა შინაურ საქმეებში და რუსეთის იმპერიის მფარველობის ქვეშ მისმა კეთილდღეობამ და ზრდა-განვითარებამ უმაღლეს წერტილამდე მიაღწია და შესამჩნევათ ფრთა გაშალა, რასაც სიამოვნებით აღნიშნავს ხელმწიფე იმპერატორი თავის რესკრიპტში.

**ორანიენბაუმი.** დღის სამ საათზე საშინელი სეტყვა მოვიდა. დაიღუპა მრავალი შინაური ფრინველები. სეტყვამ დიდი ზარალი მიაყენა მებაღე-მებოსტნეებს.

### ხ ო ლ ე რ ა.

**პეტერბურგი.** დღე და ღამეში ხოლერით ავათ გახდა 35, მოკვდა 16 ავათ არის 330.

**რიგა.** ავათ გახდა 11, მოკვდა 8. სკოლაში ავათ გახდა 1.

**ბალახანა.** ერთი კვირის განმავლობაში ავათ გახდა 2.

**ნოვგოროდი.** ერთ კვირაში გუბერნიაში ავათ გახდა 27, მოკვდა 8, მათ რიცხვში ნოვგოროდში ავათ გახდა 2, მოკვდა 2.

**ვოლოგდა.** გუბერნიაში ათ დღეში ავათ გახდა 32, მოკვდა 20.

**პოლტავა.** კრემენჩუგში ერთ კვირაში ავათ გახდა 18, ხოროლსკის მაზრაში 3, კრემენჩუგის—10, ლუბენსკის—5. მოკვდა კრემენჩუგში—1, ხოროლსკის მაზრაში—1, კრემენჩუგში 2, ლუბენსკის—1.

**იაროსლავი.** ერთ კვირაში იაროსლავის მაზრაში ავათ გახდა 81, მოკვდა 39. რიბინსკის მაზრაში 41, მოკვდა 17. რომანო-ბორისოგლებსკში 2, მოკვდა 1. დანილევსკის მაზრაში ავათ გახდა 3, მოკვდა 1, მელოგაში—1. სულ ერთ კვირაში გუბერნიაში ავათ გახდა 136, მოკვდა 58.

**არხანგელსკი.** ერთ კვირაში ავათ 9, მოკვდა 3, მაზრაში ავათ გახდა 2.

**ბელოზერსკი.** ხოლერით ავათ გახდა 1.

**კიევი.** ავათ გახდა და მოკვდა 2.

**პოლოცკი.** ერთ კვირაში ავათ გახდა 10, მოკვდა 5.

**ტვერი.** ერთ კვირაში ავათ გახდა 101, მოკვდა 17. მაზრაში ავათ გახდა 19, მოკვდა 4.

**კოსტრომა.** ქალაქში ავათ გახდა 7, მაზრაში 15, კიეშემსკის მაზრაში 7.

**პერერბურგი.** ავათ გახდა 33, მოკვდა 15. ავათ არის 332.

**კირილოვი.** ავათ გახდა 6, მოკვდა 2 მორჩა 3.

**პერმი.** ერთ კვირაში ავათ გახდა 4, მოკვდა 1. გუბერნიაში არავინ გამხდარა ავათ.

### საზღარ-გარეთ.

**ბერმინგეიმი.** მოხდა ლიბერალთა დიდი მანიფესტაცია ბიუჯეტის სასარგებლოთ. ილაპარაკეს პარლამენტის 70-მდე წევრმა, მათ შორის არტურ ჩემბერლენმა, იოსებ ჩემბერლენის ძმამ. თავმჯდომარეობდა ასკვიტი. თავის სიტყვაში მან ხაზგამით აღნიშნა, რომ მიტინგი მოითხოვეს სიმდიდრის სამართლიანათ განაწილების, მოითხოვს, რომ ხალხის წარმომადგენლებს გადამწყვეტი ხმა ჰქონდეთ, რომ ლორდთა პალატის წინააღმდეგ წამოყენებული ბრალდებები, სამართლიანია, რომ ეს ბრალდებები ახალი სოციალიზმის ნაყოფი არ არის, არამედ დიდი ხნის წარმოშობილია. ასკვიტმა სთქვა: ლიბერალები სიამოვნებით დებულობენ ლორდთა პალატის გამოწვევას. ლორდთა პალატის ჩარევა ბიუჯეტში ამ დროის დიდი რევოლიუციაა, ბიუჯეტს ღრმა შედეგები აქვს.

**ლონდონი.** „მორნინგ პოსტ“-ს ატყობინებენ შანხაიდან, რომ პრინცმა ჩუნმა მიიღო ჩეინგიტუნის სამსახურიდან გადადგომა. ჩეინგიტუნის სამსახურიდან გადადგომა გამოიწვია სესხის საქმეში ბოროტ-მოქმედების აღმოჩენამ.

**ბერლინი.** „ზიუდდეიტშე რეიხს კორესპონდენტი“ აცხადებს, რომ ამერიკის გაზეთების ცნობა გერმანიასა და ოსმალეთს შორის საიდუმლო ხელშეკრულობის შესახებ, ყოველივე სიმართლეს მოკლებულიაო.

**ბერლინი.** ორვილ რაიტი დღეს გაფრინდა თავისი ჰაეროსტატით და თან ერთი მგზავრი წაიყვანა.

## უკანასკნელი ფოსტა

### სპარსეთი.

**სომხების ბოიკოტი.** თეირანელ სომხებს უფლება მიეცათ მეჯლისში ერთი სომეხი დეპუტატი აირჩიონ. სომხებმა თეირანში მრავალ რიცხვოვანი კრება გამართეს. კრებაზე გასარჩევი საკითხი იყო თუ როგორ უნდა მოიქცენ სომხები პარლამენტის არჩევნების დროს. კრებამ დაადგინა მოითხოვონ, რომ სომხებს სამი დეპუტატის არჩევის უფლება მიეცეთ. წინააღმდეგ შემთხვევაში სომხები არჩევნებს ბოიკოტს უპირებენ. ადერბეიჯანიდან და გილიანიდან უკვე ტელეგრამებს ღებულობენ, რომ სომხები არჩევნებში მონაწილეობას არ ღებულობენო.

**მაჰომედ-ალის მოგზაურობა.** გაზეთები გადმოგვცემენ, რომ ყოფილ შაჰს უკვე გაუგზავნეს ბაქოდან ხომალდი. მოსალოდნელია, რომ ბაქოს სპარსელები შახის წინააღმდეგ დემონსტრაციას გამართავენ. ამიტომ შაჰი თურმე ბაქოში გამოვლას ვერ ბედავს. ის ზღვით პირდაპირ პეტროვსკში მივა და იქიდან რკინის გზით ოდესაში გაემგზავრება.

**ყოფილ შაჰის მოლოდინში.** როგორც ვიცით, ყოფილი შაჰი სპარსეთიდან რუსეთში უნდა გადმოსახლდეს. მის საცხოვრებლათ არჩეული სახლი უკვე მზათაა. ადესამდე ყოფილ შახს მიაცილებს კამერგერი ბატიუშკოვი. გზათა მინისტრის განკარგულებით შახისთვის დანიშნულია სპეციალური ჩქარი მატარებლები და დამცველი რაზმი.

### ოსმალეთი.

**აბდულ-ჰამიდის მემუარები.** უკანასკნელ ხანაში გაზეთებმა ხმეები გაავრცელეს, ვითომ ყოფილი სულთანი, აბდულ გამიდი თავისი მეფობის ისტორიის შედგენას აპირებდეს. იმედი აქვთ, რომ ეს მემუარები დიდ ძალი გაიყიდებაო.

**სომხების მართლ-მადიდებლობაში გადასვლა.** კიპრიდან იტყობინებიან, რომ ბევრმა გამოქცეულმა სომეხმა მიმართა რუს მღვდლებს,—მართლ-მადიდებლობა მიგვაღებიეთო.

### რუსეთი

**ს. დ. ფრაქციის მუშაობა დუმაში.** დეპუტატ ჩხეიძეს და ეგოროვს აზრათ აქვთ მოკლე მომავალში წარადგინონ პროექტი მოსალოდნელი მუშაობისა დუმაში. ეს პროექტი შეშუშავებულია ს. დ. ფრაქციისაგან და შემდეგ საკითხებს შეიცავს: 1) კანონ-პროექტი მუშათა დაზღვევის შესახებ; 2) შეკითხვა სატუსაღოების შესახებ; 3) შეკითხვა პროფესიონალური კავშირების შესახებ; 4) კანონ-პროექტი დამნაშავეთა სიკვდილით დასჯის წესის მოსპობის შესახებ და 5) კანონ-პროექტი პიროვნების ხელშეუხებლობაზე.

**ახალი ცირკულიარი.** ხარბინის გაზეთების რედაქციებს გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით გამოუცხადეს ცირკულიარი, რომლის ძალითაც მათ ეკრძალებათ თავიანთ გაზეთებში რაიმე დასტამბონ ადგილობრივ ინტენდანტთა მოქმედების შესახებ.

**დუბროვინი და ფინლიანდიის სასამართლო.** რუსთა კავშირის უმთავრესმა საბჭომ კავშირის თავმჯდომარე დუბროვინისაგან მიიღო წერილი. ამ წერილში დუბროვინი კატეგორიულათ აცხადებს, რომ ის ფინლიანდიის სასამართლოში არც მოწმეთ და, მით უმეტეს, არც ბრალდებულათ არავითარ შემთხვევაში არ გამოცხადდება. დუბროვინი სთხოვს კავშირის წევრებს დარწმუნდენ, რომ ის (დუბრ.) არასოდეს „თავს არ დაიმდაბლებს ჩუხონის სასამართლოს წინაშე“.

**მოტყუებული მუშები.** პეტერბურგის საიდუმლო პოლიციას მიმართა 50 მუშამ. მათ შემდეგი განაცხადეს: ვიღაც ვარშაველი აგენტები გაზეთებში აცხადებდენ, რომ მსურველთ ძალიან ხელსაყრელ პირობებში წავიყვანთ ამერიკაში, საჭიროა მხოლოდ რამოდენიმე მანეთის წინდაწინვე გამოგზავნაო. ჩვენ ამ განცხადებამ შეცდომაში შეგვიყვანა. საჭირო „ხალოგიც“ გავგზავნეთ და რამოდენიმე მუშა ვარშავაშიდაც წავიდა. აღმოჩნდა, რომ განცხადება განზრახ ყოფილიყო დასტამბული, რომ მუშები შეცდომაში შეეყვანეთო.

**ახალი კურსის დაარსება.** პეტ. პოლიტეხნიკურ ინსტიტუტთან მომავალი შემოდგომიდან არსდება ახალი კურსი. კურსზე შეასწავლიან ჰაერში მფრენ მანქანების დამზადებას. კურსზე სწავლა წელიწად-ნახევარს გრძელდება. სასწავლი საგნები შემდეგ ოთხ ჯგუფათ იყოფა: 1) ჰაერო-მეხანიკა, 2) ჰაეროლოგია, 3) ჰაერში მფრინავ მანქანების მექანიზმები, 4) კანონები ჰაერში ფრენისა. შედგენილია საჭირო სმეტა და აგრეთვე იმ სპეციალისტთა სია, რომელნიც მასწავლებლებათ იქნებიან მოწვეულნი.

## ჰატარა არაბესკები

### I.

### დ ა ხ ა ფ ლ ა ვ ე ბ ა.

ჩვენ, ქართველებმა, მშვენივრათ ვიცით დასაფლავება. გ. ქ.
(„დრ“. № 192)

იყო ჰაბუკი ვინმე, განსწავლული ფრიად.
და მეყვსეულათ ჰაბუკმა მან განუტევა სული.

გარნა თავსა თვისსა ცოცხლად ჰგონებს მაინც.

ყნოსვა ნესტოთა დასჩლუნგებიეს და ნეტარხსენებულმა ცხვირმა ახლად მიცვალებულისა მონისა მის არა უწყის, რაოდენსა სიმყრალესა მიმოაკმევს სხეული გახრწნად მიცემული, რომელსაც ასხია.

განუტევა რა სული, ზრახვა-ჰყო ჰაბუკმა მან გულსა შინა მკვდარსა თვისსა დაფლვად სულისა თვისისა;

აღიღო ხელსა ბარი და გავიდა სასაფლაოსაზედა და მოსთხარა საფლავი და დაფლა სული თვისი და განგოზა საფლავი იგი.

შემდგომად ამისა მოიღო საყვირი იერიქონისა, იწყო ბერვად შიგან ფრიად და აყვირებდა მას, ვიდრე სასაფლაო იგი აღივსებოდა ერითა და კრებულითა უთვალავითა.

ხოლო ოდეს შემოკრბა ხალხი მრავალი, გავიდა საფლავსა მას ზედა ახლად განგოზილსა და თვალთა წინაშე ყოვლისა ერისა იწყო მუნ დაპობად სამოსელისა თვისისა და, შემდგომად, გატიტველებად სხეულისა თვისისა.

და სხეული ჰაბუკისა მის მკვდარისა გახრწნად მიცემული გარე-მიმოჰფენდა უკეთურ-სუნნელოვანებასა ფრიადსა.

და ვიეთნიმე მაყურებელთაგანნი, (რომელნი ჟამსა სიცოცხლისასა ჰაბუკისა მის იცნობდეს მასა), ნერწყვიდეს და ფუს ჰყოფდეს და ეტყოდეს მას:

— შეირტყენ წელნი, ვითარცა მაკაცმან და შეიმოსენ სხეული სარცხვენალი ეგე, რამეთუ ხალხი მრავალი შეკრებილ არს მზერად შენდა.

ხოლო ვიეთნიმე, (რომელნი ჟამსა სიცოცხლისასა ჰაბუკისა მის ნერწყვიდეს და ფუს უყოფდეს მას), გუნდრუკს უკმევდეს მას და ამბორს უყოფდეს ნატერფთალთა მისთა ავსუნნელოვანთა და იყნოსვიდეს სიხარულითა დიდითა სუნსა ხრწნისასა და იტყოდეს:

— ესე არს მუშკი და ამბარი კეთილ-სუნნელოვანი და აჰა გენიალობა ხეთქილი ყრმისა მის რობაქიძისა გადმოვიდა ჰაბუკსა ზედა ახლათ მოვლენილსა!

და მეყვსეულად ჰაბუკმა მან ტიტველმა იწყო როკვად საფლავსა ზედა სულისა თვისისა განგოზილსა და ღაღად-ჰყო ხმითა დიდითა:

— „სიბრძნით აღემართენით და ისმინეთ მოძღვრება ჩემი!

„დამიმარხიეს საფლავსა ამას შინა სული ჩემი, რამეთუ ჩვენ, ქართველთა, დაფლვა ვიცით ფრიად.

„გარნა ნუ უკვე ჰგონებთა, რამეთუ მარტოოდენ დაფლვა კმა იყოს?

„ცოფნო და ბრმანო! იქმოდეთ, ვითარცა მე! ოდეს დაჰფლათ მოყვასნი თქვენნი: ანუ ძმაი თქვენი, ანუ დაი თქვენი, ანუ დედა, ანუ მამა თქვენი, გახვიდოდეთ საფლავსა ზედა მოყვასისა დაფლულისა და როკვიდეთ ტიტველნი და აჩენდეთ სხეულსა სარცხვენალსა თქვენსა, ვითარცა მე, რამეთუ არა კმა არს მოყვასისა მის დაფლვა მისი, არამედ ჰხამს შეგინება საფლავისა ფრიადი.

„ცოფნო და ბრმანო! არა ღირს ხართ დახსნად საბელთა ხამლთა ჩემთა, რამეთუ ფერხნი მარცხენენი თქვენნი გრძელნი არიან წინაშე მარჯვენეთა და არა მოკლენი ფრიად, ვითარცა ფერხი მარცხენე ჩემი.

„კოჭლნო, ნაშობნო იქედნეთანო! თქვენა ჰგონებთ, რომელ ჩლიქოსანნი კამეჩნი და ცხენნი აწარმოებენ ცხოვრებასა. ხოლო მე ვგონებ, რომელ ცხოვრებასა კაცთასა ვაწარმოებ მე! ნუ უკვე ჩლიქოსანი ვარა მე? კარაული ანუ ვირი გიძს თქვენ საძირკველად ცხოვრებისად და არა მუდამ ჟამს ზესაჯდომათ და ტახტათ სამარადისოდ, ვითარცა მე!

„ხედვეთა რამეთუ წამერთ განვაგდე სული ჩემი და აზრი ჩემი და დავფალ დედა-მიწასა შინა და შევაგინე და გავაორიე? ეგრეცა იქმოდეთ თქვენცა, რამეთუ არა გაქვთ, სადა თავი მოიდრიკოთ, ხოლო მე წყალობითა ცვალებადობისა ჩემისათა ხვრელიცა მიჩნს და სამყოფელიც და ნავთ-საყუდარიც მრავალი.

„ჰოი, ორგულნო და უკეთურნო! უწყითა, რამეთუ მოვალს ჟამი და აწ-არს, ოდეს ხატება ჩემი წარმოვგზავნო წინაშე მრავალ-ტანჯულისა ერისა ჩემისა და მოიღონ ხატება იგი და გააკრან ყოველთა სვეტთა და ყოველთა ღობეთა, ვითარცა ჟამსა მას გამოუფენიეს ხატება თანამემსიკეისა ჩემისა ყრმისა ნეტარისა რობაქიძისა?

და ამიერიდან იყავენ ღობეთა და კედელთა ზედა მამულისა ჩემისათა სურათ სამ: ჩემი, რობაქიძისა და მაისურაძისა კოსტასი და წარწერა ქვეშე სურათთა მათ: „ესე არს სამება ერთარსება და სასო მამულისა ფრიად ჩაგრულისა“!

იტყოდა რა ამასა ჰაბუკი იგი ახლად გარდაცვალებული, როკვიდა ფრიად საფლავსა ზედა სულისა თვისისა და აზრისა თვისისა და აგინებდა და ჰნერწყვიდა ნერწყვითა მყრალითა სულსა თვისსა და აზრსა თვისსა. და ჰგონებდა თავსა თვისსა ზარატუსტრად ერისა ქართველთა და ვითარცა ზარატუსტრასა, ეგრეცა ჰაბუკსა მას, გარა ერტყენ მხეცნი საყვარელნი: ლომისა წილ ძლიერისა კნუტი კატისა უსუსური და არწივისა წილ ინდოური დედალი და გველისა წილ მეცნიერისა ბაყაყი ქვეწარმავალი. და ოდეს დაელღებოდეს ღაწვნი და ფერხნი ღაღადისა და როკვისაგან ამბორს უყოფდა ინდოურსა მას და კნუტსა და ბაყაყსა და იყო საცინელ ფრიად.

თაგუნა.

## ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲒᲔᲑᲘ

**ჩამოხრჩობა.** 7 სექტემბერს დილის 5 საათზე ჩამოახრჩვეს პოლოს დალაქოვი, რომელსაც კავკასიის სამხედრო საოლქო სასამართლომ 26 აგვისტოს სიკვდილით დასჯა მიუსაჯა სხვადასხვა დანაშაულობისათვის.

**ხმოსანის ა. ი. ვართანოვის გარდაცვალება.** კვირას, 6 სექტემბერს თფილისში გარდაიცვალა ხმოსანი ექ. ა. ი. ვართანოვი. განსვენებული კარგა ხანია ხმოსნათ მსახურებდა და სხვათა შორის, ითვლებოდა სასკოლო და ჯანმრთელობის კომისიების წევრათ.

**ყოფილი ქალაქის თავის ა. მატინოვის მოსვენება.** თფილისის ქალაქის გამგეობამ ცნობა მიიღო პარიზიდან, რომ ყოფილ თფილისის ქალაქის თავის ა. მატინოვის გვამს მოასვენებენ ზღვით ქ. ბათუმში 19 სექტემბერსო.

**შინაგან საქმეთა სამინისტრომ** აცნობა კავკასიის ნამესტნიკის სამმართველოს, რომ თფილისის ქალაქის საბჭოს დადგენილებანი ქალაქის თვითმართველობასა და ბელგიის უსახელო საზოგადოებას შორის არსებულ ხელშეკრულებათა და პირობების ზოგიერთი ადგილების შეცვლისა და დამატების შესახებ, სამინისტრომ დაამტკიცაო.

**თფილისის ქალაქის გამგეობამ** გაგზავნა ნ. აბელოვი ს. წილკანში (ბორჩალოს მაზრა), საიდანაც გამოყვანილ უნდა იქნას წყლის მილი თფილისში. მას დავალებული აქვს შეიძინოს ის წყაროები და მიწა, რომლებიც საჭიროა ხსენებულ წყლის მილის გასაყვანათ.

**თფ. წვრილ ვაჭართა პროფესიონალური საზოგადოების კრება.** კვირას, დილის 10 საათზე ბირჟის სადგომში მოხდა თფილისის წვრილ ვაჭართა პროფესიონალური საზოგადოების არაჩვეულებრივი კრება. კრებას 500 წევრში დაესწრო 38. ამ კრებამ საბოლოოთ გადასწყვიტა საკითხი შემნახველ-გამსესხებელი კასისა და სამედიატორო სასამართლოს ბიუროს დაარსების შესახებ. შემნ.-გამსესხებელი კასა უნდა გაიხსნას დეკემბერში; პაი ღირს 30 მან., რომელიც 1 დეკემბრამდე უნდა მოგროვდეს. უკეთუ 50 წევრი არ ჩაეწერება ამ ხანათ, კასა ვერ დაიწყებს მოქმედებას. სამედ. სასამართლოს ბიუროს შესახებ, კრებამ სურვილი გამოთქვა, რომ ყოველგვარმა უთანხმოებამ პროფესიონალურ ხასიათისამ, აუცილებლათ ხსენებულ ბიუროს ხელში გაიაროს. იმ გარემოებას, რომ წევრები ასე გულგრილათ ეპყრობიან საზოგადოების საქმეებს, რაიც, სხვათა შორის, იმაში გამოიხატება, რომ 500 წევრიდან 38 დაესწრო, იმით ხსნიდენ, რომ ძველ კომიტეტს არაფერი გაუკეთებია და ჯერჯერობით ვერც ახალი იჩენს შესაფერ უნარსო.

**სასამართლო.** 4—5 სექტემბერს კავკასიის სამხედრო-საოლქო სასამართლომ გაარჩია: ნიკო, აბრამ, არსენ ციხელაშვილების, დავით პეტიაშვილის და მირმან მაღრაძის ხაქმე. მათ ბრალათ ედებოდათ ვ. ოკმელაშვილის მოკვლა. საქმე ღია კარებში გაირჩა. სასამართლომ ხუთივე გაამართლა. ნიკო ციხელაშვილს იცავდა ი. მაჭავარიანი, დანარჩენებს ივ. კაჩუხოვი.

**ახალი ამხანაგობა.** თფილისში არსდება საამშენებლო მუშაკთა ამხანაგობა „სახლ-კარი“. ამხანაგობაში წევრათ შედიან ყველა ხელოსნები, განურჩევლათ ეროვნებისა და სარწმუნოებისა და ისინი, რომელთაც რაიმე დამოკიდებულება აქვთ სახლების აშენების საქმესთან—ტეხნიკებიდან დაწყებული შავ მუშამდე. ამხანაგობა მოქმედების საგნათ ისახავს სახლების იჯარით აღების საქმეებს, გეგმებისა და ხარჯთ-აღრიცხვის შედგენას, სახლების დაგირავება-გადაგირავებას, დაზღვევასა და საკომისიოთ ყიდვა-გაყიდვას და სხ.

**შუამდგომლობის არ შეწყნარება.** ამას წინათ ბათუმის ქალაქის გამგეობამ შუამდგომლობა აღძრა მთავრობის წინაშე, რომ ხაზინამ დაუნიშნოს 17,500 მან. სუბსიდია ბათუმის ქალაქის საავადმყოფოს. როგორც გადმოგვცეს, ფინანსთა სამინისტროს არ შეუწყნარებია ეს შუამდგომლობა.

**ადმინისტრატიული წესით გადასახლებულთა შეპყრობა.** 5 სექტემბერს სებურთალოში ბოდიტამ დაჰპატიმრა საგუნურად-გუბერნატორიდან ადმინისტრატიული წესით გადასახლებული გიორგი მურმანიშვილი. ამაგე დღეს მე-7 სახ. ნაწილში დაჰპატიმრეს არშაკ აირაპეტიანცი და მე-5 სახ. ნაწ. მუგდასარის-ოდდი-დარჯამინოვი. ესენიც ადმინისტ. წესით იყვნენ გაგზავნილი საგუნურად-გუბერნატორიდან და თავისი ნებით დაბრუნდენ თფილისში. მათ შესუხასგებაში აძლევენ.

## ᵹᵹᵹ